

# რა სტრატეგიულ გეგმას სთავაზობს ლადო პაპავა ოპოზიციას?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 28 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, № 38, 2009

ალბათ, გახსოვთ, როგორ შეყარა მიხეილ სააკაშვილმა ამას წინებზე თავისი ამალა და როგორ წაგვიკითხა ლექცია ახალი ეკონომიკური ხედვის ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც, თურმე, უახლოეს ხანში უნდა მომზადდეს და მონათა პარლამენტს გადაეგზავნოს, თუმცა როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლადა პაპავა ამბობს, სააკაშვილმა ეკონომიკის ახალი ხედვის მეორე ტალღა უკვე დაიწყო და თანაც, ჩვეული ნგრევით.

– ქართულ საზოგადოებაში უკვე ჩამოყალიბდა ნიპილისტური განწყობა ყველაფრისადმი, თუნდაც იმ ნაბიჯების გამო, რა ნაბიჯებიც გადაიდგა ხელისუფლების მხრიდან და ასევე ოპოზიციის მხრიდან, თუმცა ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობ ოპოზიციის ყველა ლიდერზე. ამას ამტკიცებს ის, რაც მოხდა თავდაცვის სამინისტროში, როცა იქ მეტად საეჭვო პიროვნება დანიშნეს მინისტრად და რაც, სულ რაღაც, სამიოდე დღის წინათ მოხდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში – ეკონომიკის ფაკულტეტი, რომელიც იყო დანგრეული, პრაქტიკულად, დამარხეს. მე უკვე ოთხი წელიწადია, ამ უნივერსიტეტის პროფესორი არ ვარ, მაგრამ მაინც გული მტკიცა. თითქმის, ყველა ფაკულტეტი, ფაქტობრივად, გამოიშიგნა. გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სახელმძღვანელოების ავტორები არიან, უმუშევრები დატოვეს და საეჭვო განათლებისა თუ საეჭვო ქმედებების მქონე ხალხი მოიყვანეს. მეტიც, დატოვეს ცარიელი გაკანსიები, გეგონება, ხვალ მარსიდან ჩამოფრინდებიან ეკონომისტები, პროფესორები და თბილისის უნივერსიტეტში დაიწყებენ ლექციების კითხვას. ეს არის გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რასაც აგრე უკვე წლების განმავლობაში

გუყურებთ. თუ არ ვცდები, წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე, დაახლოებით, სამასმა სტუდენტმა მიიღო 100-პროცენტიანი დაფინანსება... ახლა შეხედეთ, რა დაახვდებათ ამ სტუდენტებს, სასწავლებელში რომ მივლენ? ჯერ ერთი, უნივერსიტეტმა სწავლა ვერ დაიწყო დროულად, მთელი ერთი თვე დაიკარგა, დღეს იწყება და მეორეც – ხუთშაბათს რომ პროფესორ-მასწავლებლებს ყრი, ორშაბათს სწავლას რის იმედზე იწყებ?! მე ვიცი, ახლა ისევ იმ გაყრილ ხალხს მიიყვანენ, მიწვეულების სტატუსს მიანიჭებენ, ლექციებს წააკითხებენ და გაცილებით ნაკლებს გადაუხდიან. როგორ, ეს ხომ ამ საზოგადოების დაცინგაა? თუ ვინმე გამოვა და ამისსნის, რომ ეს დემოკრატიის ახალი ტალღაა, მაშინ საერთოდ გავჩუმდები.

– ბატონო ლადო, ეს არის ახალი ეკონომიკური ხედვა, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ უკვე ილაპარაკა.

– სანამ მაგ შეკითხვაზე გიპასუხებთ, წინა თემას ერთსაც დავამატებ: უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლების გაყრაში მონაწილეობა აქვს მიღებული ორ გერმანელ პროფესორს. მე მათ არაფერს ვერჩი, შეიძლება, არ იციან, საქართველოში რა ხდება, მაგრამ მე გული მწყდება ჩემს ქართველ კოლეგებზე, რომლებიც თვითონ არიან, თავის დროზე, ამ ხელისუფლების მიერ ჩაწიხლულები. მას შემდეგ, რაც ისინი გადავიდნენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, თვითონვე დაიწყეს ეკონომიკური ფაკულტეტის დასამარება.

– ვინ არიან ეს სულწაწყმედილები, გვარებს ვერ დამისახელებთ?

– გვარებს ვერ დავასახელებ, მხოლოდ და მხოლოდ, ადამიანური ფაქტორის გამო. შეიძლება, გონის მოეგონ... პირადად მე გაოცებული ვარ, ამ ხელისუფლების მიერ ჩაწიხლული ხალხი თუ ასეთი ამორალური საქმის კეთებაზე დასთანხმდებოდა, ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ, ატყობა, ცხოვრება ისეთი რამეა, ზოგიერთს ყველაფერს აკისრებინებს. ახლა რაც შეეხება სააკაშვილის ახალ ეკონომიკურ ხედვას... კი, მაგრამ ამათ ძველი ხედვა რომელი ჰქონდათ, ახალზე რომ ლაპარაკობენ? ახალი პროგრამა, რომ შეიმუშაო, ძველი უნდა გაგიცვდეს... საერთოდ, ეს მთავრობა აცრილია პროგარმებზე. ამათ რევოლუციის შემდეგ ბრძოლა გამოუცხადეს ყველა დოკუმენტს, რომელიც, შეიძლება, განხილვის საგანი იყოს და ვიდაცას მისი შეუსრულებლობის გამო პასუხიც კი მოსთხოვო, ამიტომ ყველა დოკუმენტი, რომელსაც პროგრამას ეძახიან, ეს არის პრეზენტაციისთვის

გამიზნული უბრალო მონახაზი, რასაც არავითარი დასაბუთება არ გააჩნია. ჩვენ პრემიერ-მინისტრის დონეზეც მოვისმინეთ რაღაც ფრაგმენტული განცხადება ანტიკრიზისულ დონისძიებებთან დაკავშირებით, მან მდელოზე მოაწყო მთავრობის სხდომა. ეს ყველაფერი გაგრძელებაა იმ პიარტექნოლოგიისა, რითაც ჩვენი საზოგადოება უკვე ხეთი წლის განმავლობაში იკვებება. ამათვის მთავარია, მოიფიქრონ რაღაც ახალი პიარი. მაგალითად, კარგად მახსოვს, როგორ ჩაატარა სააკაშვილმა მთავრობის სხდომა მშენებარე სახლის სახურავზე. იქ ფონზე მშენებლები მუშაობდნენ და გვაჩვენა, ნახეთ, როგორია აღმშენებლობაო. შენ კინოში კი არ უნდა მიჩვენო, როგორია აღმშენებლობა, ქუჩაში რომ გავალ, თვითონ დავინახავ. მე არ მჭირდება ასეთი პიარი, მაგრამ ეს არის გათვლილი მასობრივ მაყურებელზე. მაგალითად, მე გაოგნებული დავრჩი, როცა ამ ორიოდე დღის წინათ ჩვენი პრეზიდენტი... უკაცრავად, საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში ქართული დიასპორის წინაშე გამოვიდა. თურმე, იმისთვის, რომ აფხაზეთი და ოსეთი დაბრუნდეს, იგი მზად არის, თავისი სხეულის ნაწილებიც კი ჩაუტანოს პუტინს მოსკოვში... იცით, მართლა რაღაც ტრაგიკულ მდგომარეობაში ვართ. ჩემთვის სააკაშვილის გამოსვლა კი არ იყო შემზარავი, არამედ ის, რომ ამ დროს დარბაზში ტაში დაუკრეს.

- მე მგონი, ეგენი აქედან იყვნენ ჩაყვანილები ყვითელი ავტობუსებით.
- არა, არა...
- მაშინ, ამისსენით, რამ გამოაშტერა ერთდროულად ამდენი ხალხი?
- აქედან წასული ადამიანები ვარდისფერი სათვალით აღიქვამენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ისინი იქ, ასე თუ ისე, კარგად არიან მოწყობილები, შორს არიან და აქაური ტკივილი არ ესმით. ისინი მხოლოდ უყურებენ სააკაშვილის ფრთიან გამონათქვამებს... უყურებენ იმას, თუ როგორი დაშაქრული ენით ლაპარაკობს დემოკრატიაზე, ეკონომიკურ მიღწევებზე, ადამიანის უფლებებზე, ხოლო ქვეყანაში რეალურად რა ხდება, მათ არ იციან. თურმე, სხეულის სხვადასხვა ნაწილს მოიჭრის, ოდონდ დაკარგული ტერიტორიები დაგვიბრუნდეს.
- უცხოეთში წასულებს დემეტრე თავდადებული ან ქეთევან წამებული გაახსენდათ და ეტყობა, ამიტომ დასცხეს ტაში.

– არ ვიცი, ასეთი პრიმიტივიზმის დონეზე არ დგას საკითხი... დღეს სააკაშვილი არის საქართველოს მხედართმთავარი და მას ცოტა მეტი გონიერება მოეთხოვება და არა სხეულის ნაწილების შეთავაზება. სააკაშვილი არა არის ჩემი პრეზიდენტი, მაგრამ მას საქართველოს პრეზიდენტი პქვია და არ მინდა, ქვეყანას რუსეთიდან კვლავ პრობლემები შეექმნას... არც ამდენი სისულელის მოსმენა მინდა.

– მე მგონი, მაგას ერთხელაც მართლა ჩამოაჭრიან სხეულის ნაწილებს.

– სამწუხაროდ, გეთანხმებით... რუსეთისთვის საჭირო იყო საბაბი და რუსეთის მიერ დაგებულ მახეში სააკაშვილი მშვენიერად გაება. სხვათა შორის, რუსეთთან მიმართებით საქმაოდ გაწონასწორებული და დინჯი გამოსვლა ჰქონდა “გაეროს” ტრიბუნიდან, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. სხვათა შორის, ძალიან დაბალი დონეა ჩვენს ტელეარხებზეც, დიასპორასთან შეხვედრის კადრებს და აპლოდისმენტებს გამუდმებით იმეორებენ... ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენი საზოგადოების ძალიან დაბალ პოლიტიკურ დონეზე. ორიოდე სიტყვით მინდა ვთქა თპოზიციის შეცდომებზეც: ეს პარლამენტი რომ ქართველი ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს, ცხადია, მაგრამ თპზიციის ლიდერები რომ აცხადებენ, ჩვენ იქ მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების შემდეგ შევალთო, ამას რის იმედზე დაპარაკობენ?

– მათ სჯერათ, რომ უახლოეს ხანში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება და პარლამენტში დიდი რაოდენობით შევლენ.

– თუ სააკაშვილმა უახლოეს ხანში რამე პრინციპული შეცდომა არ დაუშვა, არც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება და არც – საპრეზიდენტო. მე ძალიან მინდა, რომ იყოს, მაგრამ სააკაშვილმა ძალიან კარგად მოირგო ეს პარლამენტი.

– ექსპერტები ამტკიცებენ, პირიქით, ეს პარლამენტი სააკაშვილისთვის არაკომფორტულია, ჯო ბაიდენი და სხვა უცხოელი დიპლომატები ჩასჩიჩინებენ, შეცვალეო.

– არა, მას ამის შესახებ არავინ არაფერს ეუბნება, ნუ ვიქნებით ილუზიებით შეპყრობილნი... დღეს არავინ ამბობს, რომ სააკაშვილი არის დიქტატორი, რომ არის ავტორიტარული მმართველი. არც ამერიკელებს უთქვამთ, სააკაშვილმა არჩევნები გააყალბაო, არც ევროპელებს. არავინ არ ადარებს მას ლუგაშენკოს, უგო ჩავესს

და ასე შემდეგ. სადმე ვინმემ თქვა, საქართველოში არასწორად არის არჩევნები ჩატარებულიო? მე ასეთი რამე არ მინახავს. ამერიკელებს ნამდვილად არ აწყობთ საქართველოში მორიგი არასტაბილურობა, მათი პრობლემა დღეს ირანია. კი, შენიშვნებს აძლევენ, მეტი დემოკრატია, მეტი სიტყვის თავისუფლება, უკეთესი საარჩევნო კოდექსიო... ამაზე შორს ისინი არ წავლენ.

— სანამ სააკაშვილი აქ არის, კავკასიაში ყოველთვის უეთქებადსაშიში სიტუაცია იქნება, ესეც ხომ კარგად იციან?

— კი, გეთანხმებით. ერთმა უცხოელმა მკითხა, რა არის საქართველოში არასტაბილურობის ყველაზე დიდი წყარო? მე ვუპასუხე, არასტაბილურობის ყველაზე დიდი წყარო არის მიხეილ სააკაშვილი-მეთქი, მაგრამ უცხოელები იმასაც ამბობენ, თქვენთან დემოკრატიული თვალსაზრისით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებშიო. ოპოზიციამ ქუჩაში დგომით რისი მიღწევაც შეიძლებოდა, იმას მიაღწია და პრაქტიკულად, ვერაფერსაც ვერ მიაღწია. შედეგად რა მივიღეთ? ყუბანეიშვილი სანატრელი გახდა “პირველ არხზე”. ყუბანეიშვილი იყო თუ არა შინაგანად ამ ხელისუფლების მხარდაჭერი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ახლა ვინც არის, იმას მითითებაც არ სჭირდება. ამ ვითარებაში მე ასე დავაყენებდი საკითხს: ოპოზიციამ სააკაშვილს უნდა მოსთხოვოს ყველა სამინისტროში თითო ვაკანსია. ამით ისინი, პრაქტიკულად, შეძლებენ ჩრდილოვანი მთავრობის ჩამოყალიბებას. მე ასევე მომხსენევა ვარ, რომ ესენი შევიდნენ პარლამენტში და გამოიყენონ ტრიბუნა, ქუჩის პოლიტიკოსობა არ მიიჩნევა დასავლეთში წარმატებულ პოლიტიკად. ჩემი აზრით, ახლა ადგილობრივ არჩევნებში ალასანია-სუბარის ტანდემი კარგი ჩანაფიქრია.

— კარგით, რა, ბატონო ლადო, კაცი საპრეზიდენტოდ ჩამოიყვანეს და ახლა მერობაზეც ყაბულსაა, ცოტა კომიკური სიტუაცია ხომ არ იქნება?

— ჯერ ხომ არ არის საპრეზიდენტო არჩევნები? ჯერ ერთი, ვინ არის ირაკლი ალასანია, ქართულმა საზოგადოებამ არ იცის და მეორეც — ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნების პერსპექტივა უახლოესი მომავლისთვის არ გვაქვს, ამ შემთხვევაში მერის არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა და გვაჩვენოს, რა შეუძლია.

— რა უნდა გვაჩვენოს ალასანიამ უგულავაზე მეტი?

- სააკაშვილმა როგორ გვაჩვენა.
- პოდა, დაიწყოს მაგანაც სახლების სახურავებზე სირბილი და ავირჩევთ.
- ეგ მეთოდი დღეს უკვე მომგებიანი აღარ არის, სხვა რამე უნდა მოიფიქროს. თუ მოიფიქრებს, იქნება წარმატებული, თუ არა და დარჩება სხვებივით უფერული.

### გელა ზედელაშვილი